საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 340996 19/ 04 2013 წ.

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005

ალტერნატივა ჯორჯიას პროექტის მენეჯერს
ქალბატონ ნინო ბალანჩივაძეს
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის 14ა, ოფისი 2

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2013 წლის 20 მარტის N3 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში 2012 წელს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით წარმოდგენილი იყო - 27749 პირი, აქედან, დადებითი დასკვნა გაიცა – 7627 და უარყოფითი – 14122 პირზე; ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება დაუდგინდა – 636 პირს, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ერთდროული მოხმარება – 1447 პირს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნა გასაჩივრებულ იქნა – 15 შემთხვევაში, მათგან – 5 შემთხვევაში მოხდა ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგების გაუქმება.

რაც შეეხება შსს საინფორმაციო ცენტრში რეგისტრირებულ მონაცემებს:

- 2012 წელს სულ საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-5 ნაწილით რეგისტრირებულია - 13 სამართალდარღვევა.
- 2012 წელს 116-ე მუხლის მე-7 ნაწილით - 1757, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 117-ე მუხლით რეგისტრირებულია - 98 სამართალდარღვევა.
- 2012 წელს სულ საქართველოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს სამხარეო მთავარი სამმართველოების მიერ რეგისტრირებულია - 5359 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, აქედან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე სიმთვრალით რეგისტრირებულია - 256 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

ამავდროულად გაცნობებთ, რომ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებით მონაცემები არ გაგვაჩნია.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ხათუნა ქველაძე
ადმინისტრაციის
საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროს უფროსი

2012	შემოწმებულ პირთა რაოდენობა	დადებითი შედეგების რაოდენობა	უარყოფითი შედეგების რაოდენობა	მხოლოდ ფსიქოტროპული ნივთ.მომხმ. რაოდენობა	ნარკ.და ფსიქოტრ. ნივთიერებათა ერთდროულად მოხმარება
იანვარი	2801	792	2009	100	129
თებერვალი	2363	688	1675	64	132
მარტი	2043	644	1399	59	163
აპრილი	1470	434	1036	63	99
მაისი	1184	376	808	56	86
ივნისი	1272	416	856	43	95
ივლისი	673	230	443	21	39
აგვისტო	512	134	378	14	18
სექტემბერი	348	127	221	4	17
ოქტომბერი	360	141	219	7	16
ნოემბერი	3924	1801	2123	86	326
დეკემბერი	4799	1844	2955	119	327
საერთო რაოდენობა	21749	7627	14122	636	1447